# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 145

დამატების № 26

კვირა, 23 ნოემბერი 1914 წ.




შტ.-როტ. მიხეილ მიქელაძე
(მოკლულია).



პორ. ვასილ ვაშაძე
(დაჭრილია).



პოდპორ. თავ. არჩილ მაჩაბელი
(ორჯერაა დაჭრილი).



ჯარის-კაცი პლატონ ფა-
ლავანდიშვილი
(დაჭრილია).



ჯარის-კაცი სიმონ დეკა-
ნოზიშვილი
(მოკლულია).



ჯარის-კაცი შალვა
ფალავანდიშვილი
(დაჭრილია).

## სიმღერა

ნუმცა მსმენია სიკვდილი
და ნუმც მინახავ ლომისა.
ნუმც მინახია არწივი
შნო აღარ ჰქონდეს ომისა
ლომს ტახტი უდგა მხეცებში,
არწივს ფრინველთა შორისა.

რა ლამაზია დილითა
მზე რომ სხივს მოჰფენს გორისა
ნუმც წაუხდება მშრომელსა
წმინდა ნაღვაწი შრომისა.
დამლახვრელია გულმკერდის
ცხელი ცრემლები ობლ ისა.

უჩირქო, მეტად წმინდაა
შვილზე ტირილი მშობლისა.
ღვთიურს ხმასა ჰგავს, ვისც ძალ-უძს
ხმების აკინძვა მწყობრისა.
და გულის მკვლელი სიტყვები,
ენა-წყლიანის მთხრობლისა.

ტურფაა ახალგაზდობა
ზათქი ვნებათა თრთოლვისა.

ვაჟა—ფშაველა.

## ყველგან სტირიან!..

ყველგან სტირიან და მწუხარე ხმა
შემოდგომის ქარს მიმოაქვს კვნესით...
ყველგან სტირიან—დაფარულ ოხვრით
და ლამაზ თვალზე ცრემლ ჩამოკვესით...

შავ ჯოჯოხეთის ზღაპრულმა ჩონჩხმა
სული შთაიდგა, მოვიდა სოფლად
და დაჰკრა რვალის ძლიერი კვერთხი
უკვდავ სიცოცხლის უარ-საყოფლად!..
აინთო ცეცხლი კიდითი-კიდე
აკვნესდა გული... აჟღერდა რკინა
და მის მძაფრ ხმაში მრავალ იმედმა
დახუჭა თვალი და მიიძინა!..

ჟღაბურს მინდორს ჰხნავს ზარბაზანი,
ხოლო სიკვდილი კაცთა ძვლებს სთესავს
და სვავ-არწივთა ზღვა ქარავანი
მძოვრთა საწიწკნად ბრჭყალებს ილესავს!..
ჰქრება მღელვარე ახალგაზდობა,
სიბრძნე, სიცოცხლის სილოლიავე,—
უკან რაღა სჩანს?—ძნელ შესაცნობი
ბნელი ქაოსი და სიბედშავე!..

და ვაი იმ ერს—ვინც ამ ქაოსში
ცრემლის გარეშე ხსნას ვერა ჰხედავს,—
და მტრისა მიმართ—სამყოობადო
სიცოცხლისათვის მახვილს არ სჭედავს!..

ს. ფაშალიშვილი.

# ცეცხლი ქართულ თეატრში



კლუბის დამსხვრეული დიდი სარკე.



კლუბის ბუფეტი.

# ყვავილთა ქვეყანა

I

ჯერ კიდევ დიდი დრო არის გათენებამდის. მთელს ოჯახს სძინავს. ბებია და ბაბუა ყოველთვის ადრე იღვიძებენ და ლაპარაკობენ ოჯახის მოვლა-გაძღოლაზე.

— ვენახის გასხვლას უნდა მივყო ხელი საცაა თებერვალიც მოატანს.—ამბობს ბაბუა.

— საბოსტნე მიწაც უნდა დავამუშაოთ წელს. ადრე უნდა დავთესო, შარშან დამიგვიანდა ბოსტნეული, კიტრიც, თიბათვემდის არ გვიგემნია—დასძნეს ბებია და ასე ლაპარაკობენ ყოველთვის. მაგრამ ჯერ იმათთვისაც ადრეა, იმათაც სძინავთ. ბუხრის წინ, ხატაური კატა მრგვალათ შეკეცილა, ცხვირი ნაცარში წაუყვია და სძინავს. ბუხარში ცეცხლის შესანახად დატოვებული დიდი კუნძი მიფერფლილა, იქნებ გულში უკრთოდეს პაწია ნაპერწკალი რათა სიცოცხლე გაიტანოს დილამდის მაგრამ არა სჩანს-კი, თითქოს მასაც სძინავს. პაწია წლინახევრის ცუცუნა მაგრა ჩაჰკვრია გულში მამიდას და სძინავს. სძინავს რევაზსაც ძმაზე ხელ გადახვეულს ტკბილის უდარდელის ძილით. არა სძინავს მხოლოდ არჩილს, თავის გონიერი დიდრონის შავი თვალებით მისჩერებია ბუხარზე დადგმულ ლამპარს, სმენა კი გარეთა აქვს მიპყრობილი, ყურს უგდებს, როგორ დაჭრილ ლომივით ღრიალებს ქარი, დიდ საბერველივით დაუბერავს, შხაპუნით შეანარცხებს კოკის-პირულს წვიმას სახლის კედელს, იმ კედელს საცა არჩილია მიწოლილი დაიზუზუნებს, დაიკივლებს, შხუილით გადაურბენს მაღალ ჭანდარს, ახალგაზრდა ალუბლებს, ატმებს მიგრეხ-მოგრეხს, ქაქანით გაიჭრება ველად, ისევ ჩქარა ბრუნდება მთელის თავის ძალ-ღონით ეცემა სახლის სახურავს, უნდა გადაჰგლიჯოს, გაანიავოს ყველაფერი. ყველა ამათ სულ განაბული უსმენს არჩილი, ტუჩებს აცმაცუნებს თვალებს ახამხამებს, ხანდისხან გადახედავს მძინარე და-ძმას, მამიდას, და ისევ მიეცემა თვის ფიქრებს.

რასა ჰფიქრობს ნეტა ასე პატარა ნორჩი ბიჭიკო? შორს დაჰფრინავს მისი ოცნება შორს, ვინ იცის ათასის ქვეყნის გადაღმაც იქ ეგულება თავის დედა, თავისი ტკბილი დედა.

„დედაც ხომ ასე უძილოთ ატარებდა ღამეებს, ის უთუოდ მამაზე ფიქრობდა შორს მყოფ მამაზე, როგორც ეხლა მე ვფიქრობ მასზე. ნეტა მალე მოვიდეს, როგორ გაეხარდება ყველა რვეულებს დაწერილს რომ დავახვედრებ რაც დამიტოვა, საზეპიროებსაც ხომ მიუმატე, ნაკადულებსაც სულ გადავიკითხავ რაც არ წამიკითხავს. ჩამ.ოვა მერე წამიყვანს სასწავლებელში მამასთან, იქ პატარა ლამაზი ოთახი მექნება ჩემთვის, მომირთავს დედა ხატით, სურათებით. საწიგნე ბევრის, ძალიან ბევრის წიგნებით და საწერი მაგიდა აი ასე როგორც დედას უდგას, მიუჯდები მაგიდას, ხელს თავზე შემოვიდებ და ვიფიქრებ, როგორც დედა ჰფიქრობს, მერე დავიწყებ წერას, ხატვას, გავიზრდები დიდი, დიდი ნასწავლი, როგორც დედა მეუბნება, მერე ერთად ვიკითხავთ იმ დიდ წიგნებს როგორც დედა კითხულობს, მერე კიდევ ბევრს ძალიან ბევრს საქმეს გავაკეთებთ აქ სოფელში, არ ვიცი კი რა უნდა გავაკეთოთ ალბად იცის დედამ რომ მეუბნება სოფელს ბევრი საქმე უნდაო. ახ ნეტაი მალე ჩამოვიდეს ჩემი დედა.

კარგა ხანი გადის ასეთს ფიქრებში წვიმა იკლებს, ქარიც ჩადგება, თითქოს დაიღალა და ჩასთვლიმაო. მეტიჩარა მამლაყინწამ დაასწრო უფროსს და ხრინწიანის ხმით აუწყა ქვეყანას გათენება. „დეზებას“, ეგრე ეძახიან დიდ წითელ მამალს, ეწყინა მამლაყინწას მეტოქეობა, დააღო პირი და ისეთის ვეებერთელა ხმით დაიყვირა რომ საწყალს მამლაყინწას შიშის ზარი დაეცა, ენა მუცელში ჩაუვარდა. დანარჩენი წვრილ-ფეხობაც ახმაურდ-აყაყანდა, ბაბუამ ჩაახველა, ოჯახს გამოეღვიძა, კატა ბუხართან გაიზმორა.

— არჩილ, დედამ რომ წითელი ვაშლები მოგვიტანა სად არის? —წამოიძახა რეზომ. სიზმრიდან არ იყო გამორკვეული. ხმაურობაზე მსწრაფლად წამოჯდა თვალ ფირუზა გოგონა და დაიძახა.

— დე-და!..

II

ჯერ კიდევ შუა ზამთარში დასტოვა დედამ, გაჭირვებამ აიძულა, მიეტოვებინა თავის პირ-მშონი, თავის სიცოცხლე და თვალის ჩინნი. წავიდა ქალაქს ავად არის, უნდა მორჩეს, განიკურნოს და ისე დაუბრუნდეს ოჯახს, შვილებს.

ბებიასთან დასტოვა. არა აკლიათ რა: მოვლა, სწავლება, დაყვავება. მამა ყოველ კვირა სწერს ბების წერილს, სთხოვს ემუდარება ბავშვებს არა დააკლონ რა, არ დაამჩნიონ უდედობა: „ცუცუნას, ცუცუნას განსაკუთრებით გაუფრთხილდით, როგორც ჩვილს პაწაწინას“.

ძნელი იყო იმისთვის დედის დაშორება. გაუჭირდა, სტიროდა ჰირვეულობდა. არჩილს არ უტირია არც რევაზს. კიბე ჩამოაცალეს, ერთს პატარა ბოლჩა მოაქვს მეორესაც პაწაწინა კალათი გაუდგამს მხარზე, ეტლში ჩასვეს, დაჰკოცნეს გზა დაულოცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი შტაბით მოწინავე პოზიციებზე.**

— მე სალამური მომიტანე დედა, არ დაგავიწყდეს სალამური, სალამური.—ეტიტინება ოთხ წელ ნახევრის რევაზი.

არჩილი ცრემლ-მორეული ღიმილით შესჩერებია დედას.

— შენ? შენ რა მოგიტანო ჩემო ვაჟ-კაცო რატომ არაფერს მაბარებ?—ეკითხება დედა.

— შენი თავი ჩემო დედა! შენი თავი, მორჩი კარგად გახდი და ისე მომიხვედი მე ეს მინდა.

დედას გრძნობა ერევა და ცრემლ-მორეული იკრავს ვაჟებს გულში, კიდევ მოაწოდეს გოგონა, დაჰკოცნა პირჯვარი გადასახა.

— დე-და, დე-და... იძახის გოგო, ფუნთრუშა ხელს იშვერს.

წავიდა ეტლი, თვალს მიეფარა.

III

რკინის გზის სადგურიდან კიდევ გაუგზავნა ცუცუნას სათამაშოები.

— მიუტანე გეთაყვა, იქნებ გული გაირთოს აღარ მიდარდოს,—უთხრა პატარა მულს. დაიძრა მატარებელი, დედა ფანჯარას მიყრდნო; გაჰყურებს მოსახლეებს, ეზოებს, გამოჩნდა ეკლესიის გუმბათი, მათი დიდი ჭანდარის წვერი, აი ეზოც, სახლიც აივანში მთელს ოჯახს მოუყრია თავი შეჯგუფებულან, გოგონა მაღლა აუწევიათ, რევაზი, არჩილი მოაჯირზე შემდგარან ხელსახოცს უქნევენ. გაიარა მატარებელმა დედას მიეფარა თვალთაგან მისი საყვარელი არე-მარე, მისი ძვირფასი არსებანი, ეხლაკი წასქდა ქვითინი, დაგუბებული ნაღველი ერთად გადმოედინა.

ჩავიდა ქალაქში და ეხლა ყოველ კვირა ღებულობს ბებო წერილებს, უფრო ცუდათ გახდაო. ბავშვებს კი, ამშვიდებენ: „დედა უკეთ არის და ჩქარა მოვაო“.

არჩილი მეტად მგრძნობიერია, დედის პირველი სიხარული, დედის გრძნობანი და შთაბეჭდილებანი თან დაჰყოლია, და უფრო უნვითარდება, და აი იმ დროს როდესაც ჯერ ისევ სძინავს მთელს ოჯახს ის ფხიზლობს და ჰფიქრობს, იგონებს იმ ღამეებს როდესაც დედაც ასე ფხიზლობდა მთელი ოჯახის ძილის დროს წყნარ სიჩუმეს მხოლოდ კალმის ხმა არღვევდა ან ქაღალდის შრიალი, ეს ჩუმი ხმაურობა მხოლოდ არჩილს ესმოდა, ჩუმად იყო და თვალს ადევნებდა დედის მოქმედებას, აი, ეხლაც ღვიძავს და ჰფიქრობს მასზე, მის საოცნებო დედაზე.

IV

კიდევ მოვიდა ხშირ-ხშირი წერილები, რაღაც დეპეშაც მიიღო ბაბუამ. სახლში ფაცა-ფუცი და რაღაც მზადება შეიქნა, ეწყობიან ბებია, ბაბუა, ორი მამიდა, ბიძა. არჩილი ხან ერთს შეჰყურებს ხან მეორეს.

— სად მიდიხარ ბებია? მეც წამიყვანეთ.

— შენ მამიდასთან მივდივართ ქუთაისში, გენაცვალოს ჩემი თავი, შენ აქ უნდა იყო მამიდა ნინოსთან ერთად უგდე ყური რევაზს, ცუცუნას, მიჰხედე გენაცვალოს ბებია ჩქარა მოვალთ, ცრემლმორეულმა დაჰკოცნა ბავშვები და წავიდნენ, ოჯახი ბებერ გამდელს და ნინოს ჩააბარა.

ხუთი დღე და ღამ კარებისკენ მოექცა ნინოს თვალები, ბავშვებს ფარვანასავით დასტრიალებს გარს, უვლის, თავსევლება.

— საწყლებო, საწყლებო—ჩაიჩურჩულებს ხშირად და დაჰკოცნის.

მოლოდინსაც მოეღო ბოლო, საღამოს მატარებელს ჩამოჰყვნენ. ბებოს მამიდებს ყველას შავი კაბები აცვიათ დაღვრემილი სახეები, მამაც მოვიდა, გამხდარი, სახიდან გამოცვლილი ქაღარაც გარევია; შემოესივნენ ბავშვები, არჩილი განზე სდგას.

— დედა? სად არის ჩემი დედა რატომ არ ჩამოვიდა?

მამამ მიიზიდა თავისკენ, ჩაიკრა გულში რაღასაც ჩასჩურჩულებს მთრთოლვარე ტუჩებით.

— მოვა გენაცვალოს მამა, მოვა დედა. ეხლა სხვაგან წავიდა ყვავილების ქვეყანაში.

— სად არის ყვავილების ქვეყანა?—ორივე ერთად შეეკითხნენ.

— ყვავილების ქვეყანა იქ არის ჩემო საყვარლებო საცა მეც ვისურვებდი წასვლას, საცა აღარაფერი სტკივათ, საცა ისვენებს კაცი და იკურნება ყოველ დარდსა და ტანჯვისაგან. იქ წავიდა დედა მოუგვიანდება ესე ჩქარა ნუ ელოდებით, უნდა კარგად მორჩეს და ისე მოვიდეს, ბარემ მეცა ვსთხოვე, ბევრი ვემუდარე მარა არ წამიყვანა.—სთქვა მამამ და გაყრუვდა ერთხანს რეზიკომ ხელი შეახო მკლავზე, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, სახეზე ხელი მოისო ფიქრები გაჰფანტა და ჯიბიდან რაღაც შეხვეულები ამოიღო.

— შენ რეზიკო აი ეს სალამური გამოგიგზავნა, ჩემო მომღერალო ბიჭო ისწავლე ამის დაკვრა, დაუკარ და გამახარეო. ცუცუნასთვის სურათია გამოგზავნილი ნინო გეთაყვა დაჰკიდე გოგონას საწოლთან ძვირფასი სურათია...

შენ აი ეს ბარათი გამოგიგზავნა, როგორც დიდს და მოსწრებულს თავისი აზრი გაგიზიარა.

არჩილმა გულის კანკალით გახსნა წერილი.

ჩემო სულის ნაყოფო არჩილ!

მე ყვავილების ქვეყანაში მივდივარ რომ უფრო მოვრჩე ტკივილებისაგან. გაბარებ ჩემს რეზიკოს და ცუცუნას როგორც უფროს, ყველაფერში შენ უნდა გ უწიო წინამძღოლობა, უჩვენო ყოველი კარგი მაგალითი. მერე გაბარებ ჩემს მაგიდას თავის უჯრებით სანამ დიდი არ იქნები ნუ გახსნი. გაბარებ წიგნებს და მთელს ოთახს, იკითხე, ისწავლე და კარგად გამიცან, იქნებ მანამდის კიდეც მოვიდე. ხშირად მოვალ თქვენთან ღამ-ღამობით. დაგიკოცნი ჩემს საყვარელ თვალებს ფიროზას და ბიჭიკოსაც დაუკოცნი. ისწავლე ისწავლე, ისწავლე და მაშინ მეყვარებ...

თქვენი დედა.

V

მამა ისევ წავიდა ქალაქში. გავიდა ზამთარი, დადგა გაზაფხული. საამურად დაჰბერა თბილმა ნიავმა, თეთრად გადაპენტილი ტყემალი და ვაშლი წითლად ააფერადა ატმის ყვავილმა. ყველაფერი მიწყნარდა, შავი კაბები სადღაც მიიმალა, ოჯახი ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა, კაცი და ქალი ბაღ-ვენახს მოედო სამუშაოდ, არჩილიც მათი მარჯვენა ხელია. პატარა თოხით ხელში ხან აქ სჩიჩქნის მიწას ხან იქ. ცუცუნაც ამათში ურევია წალუნავს თავის თეთრ კისერს და დახვანხვალებს დაფხვნილ დამუშავებულ მიწაზე საღამოს ჟამი მოატანს, მატარებელის ხმა შორიდან მოისმის, სამივე ერთად ასწევენ თავს, არჩილი დააგდებს თოხს და გაებაწრებიან რკინის გზის ლიანდაგისკენ, მოელიან კიდევ, მოელიან დედას. ბებია კი, დაეყრდნობა თოხის ტარ'ს და გულ-მოკლული უყურებს ამ დამაღონებელ სურათს.

VI

იმის შემდეგ არჩილს აღარ მოუკითხავს დედა მის მგრძნობიერ გონებას ეგრე ადვილად არა გამოეპარებოდა რა.

წამოიზარდა. მეზობლის სიკვდილი ნახა. უყურა როგორ დამარხეს კაცი, როგორ მიაყარეს მიწა და შემდეგ ის მეზობელი სახლში აღარ დაბრუნებულა.

წაიყვანეს ქალაქში, სასწავლებელში მიაბარეს, იქაც ბევრს შეეხეჩა გზად გატარებულ მიცვალებულს, ყოველს ასეთს სანახავებზე გული უწყებდა ტოკვას, ზაფრანის ფერი დაედებოდა; „იქნებ ჩემი დედაც ასე იყო, იქნებ ისიც ასე დამარხეს უთუოდ, უთუოდ მომატყუილეს მაშინ როგორც ბავშვს“.

დედას მაინც არ კითხულობდა. თავს იტყუებდა ოცნებით იკვებებოდა, წარმოდგენით მოელოდა, ლოცულობდა კიდეც, რათა სასწაული მომხდარიყო მის თავზე, ერთხელ მაინც ენახა ცხადლივ თორემ სიზმრად ხომ ხშირათ ხედავდა. სწამდა, სჯეროდა, რომ წმინდა ლოცვას შეუსმენდა ღმერთი და იმ უცხო მხრიდან გადმოუფრენდა დედას. ან თავად სადმე წააწყდებოდა იმ ქვეყანას.

— ხომ იყო წინად ასე, სდგებოდნენ კვდრები საფლავებიდან, უბრუნდებოდნენ ნათესავებს, იესოც ხომ აღსდგა მკვდრეთით, ბებიაც ასე მიხსნიდა და ჯერ რომ სამღვთო ისტორიას გავდივართ იქაც ხომ ასე სწერია? მაშ ეხლა რატომ არ უნდა მოხდეს? რატომ არ უნდა შევხვდე ჩემს დედას, განა წმინდა არ არის ლოცვები ჩემი და უმწიკვლო ჩემი სურვილი?

ასეთს ფიქრებს დაეპყრო პატარა ყრმა.

არჩილის მამა, კარგა ხანია ამჩნევდა ბავშვებს გონებით მოღლილ მოქანცულობას, გულ ჩათხრობილობას, უდედობის მწუ-

ხარებას. ხედავდა თავის დიდ შეცდომას: „რად შევიყვანე ყმაწვილი შეცდომაში? რათ მივეც აუსრულებელი იმედი, რად შთავაგდე მოლოდინში, რატომ არ უთხარ მაშინვე, არ გავაგებინე სინამდვილე, დღეს როგორ მოვიქცე, როგორ უთხრა რომ ვიტყუე რომ ასე საშინლად მოვატყუილე. პატარეებმა უკვე დაივიწყეს. თუ მაშინვე მეთქვა სინამდვილე, იდარდებდა ცოტა ხანს როგორც ყმაწვილი და დაივიწყებდა, დღეს ორად არის გაყოფილი მისი ფიქრი და გონება, იცის, მაგრამ რაც ერთხელ ჩაესახა ნორჩ ტვინს აღარ ეცვლება. არ მიზიარებს თავის დარდებს, არას მეკითხება“.

მამა ასე იტანჯებოდა და ასე, ორი გონება ერთსა და იმავეს დასტრიალებდა.

არჩილი თან და თან გაიზარდა, კლასიდან კლასში გადავიდა, ზაფხულობით საექსკურსიოთ დაჰყვება მასწავლებლებს სხვა მოწაფეებთან ერთად.

ყველაფერს დაკვირვებით სჩხრეკს, ათვალიერებს, რაღასაც ეძებს, სხვისას არა ჰგავს იმისი ძებნა, მის საიდუმლოებით მოცულ სახის გამომეტყველებას, რაღაც კვლევაში დაღლილობის ბეჭედი აზის.

სიყმაწვილე მაინც სძლევს ხანდისხან; როდესაც ველად გაიშლებიან ყმაწვილები, ან მაღალ ნაძვნარს შეესევიან, სხვებთან ერთად დახტის, კისკისებს, ლაღი ბუნება იფარებს თვის ძლიერ კალთის ქვეშ და ავიწყებს თავის ფიქრებს, თუ ცივ წყაროზე გულს იგრილებენ, პურსა სჭამენ სხვებთან ერთად არჩილიც ხაროპს, ბეჯითად უსმენს მასწავლებელს ახსნა-განმარტებებს მაგრამ თუ რამ ნანგრევებს წააწყდებიან ეკლესია იყოს, ციხე, კოშკი, რაც წარსულ ფიქრებს აუშლის კაცს, ან მივიწყებულ სასაფლაოს, არჩილის სახე ისევ იღრუბლება და კვლავ ბურუსი შემოეხვევა მის დაკოდილ გულს. ბევრი ეძება ბევრი იკვლია მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინა ყვავილების ქვეყანა და გადაწყვეტით ირწმუნა ჭეშმარიტება ყრმამ.

ერთს გაზაფხულის თბილს საღამოს ორივე მამა შვილი ისხდნენ სარბიელზე, გადაჰყურებდნენ მშფოთარე ქალაქს და ორივეს გონება მოეცვა რაღაც მათში მონათესავე აზრს, ამათ ფიქრებს ხელს უწყობდა დარბაზიდან ნასმენი მუსიკა: პატარა და-ძმა უკრავდნენ—რეზიკო სკრიპკას ამეტყველებდა თვისის პატარა გრძნობით და თითებით, ცუცუნა პიანინოზე სწავლობდა და კარგ ნიჭს იჩენდა. ორი ახალგაზრდა უკრავდნენ მოწაფის ხელით და მათი ოცნება შორს იყო ამ დროს არჩილის ფიქრებისაგან. ჰო და ეს დრო აირჩია არჩილმა.

— მამა, მინდა ვნახო ყვავილების ქვეყანა-—უთხრა უეცრად და დაუდგა წინ მამას.—შენა გგონია დამავიწყდა?.. ძილში თუ სიზმრად ყვავილების ქვეყანა მიდგას გონებაში... რად მომატყუეთ პატარობისას? დღეს ველარ გამიდევნია ის აზრი რომ სადღაც არის. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად წავაწყდი ყვავილების ქვეყანას... წამიყვანე, მამა, მიჩვენე, ისე ბავშვიც აღარ ვარ რომ ტყუილები იყოს საჭირო.

მამამ ასწია თავი შეაჩერდა შვილს და მართლაც. რამოდენა გაზრდილა, ვაჟკაცდება თითქოს საულვაშე შემწვანებია მხოლოდ ეხლა შეამჩნია მამამ და შეკრთა დავაჟკაცებულ ვაჟის წინ.

— ჩემით ბევრჯელ ვიყავ სასაფლაოზე მაგრამ ვერ გამოვიცან, არა მითხრეს რა უტყვმა ძეგლებმა. მაჩვენე მამა დედის საფლავი, ჩემო მამა,—განაგრძობდა არჩილი. უეცრად დაუკოცნა ორივე ხელები.

გაფითრებულ მამას ენა გაუშრა პირში, სიტყვა ვერ მოახერხა და ატირდა ბავშვივით...

VII

გათენებას დაასწრო არჩილმა, განსაკუთრებულის ყურადღებით დაითვალიერა ტანთ-საცმელი, ლამაზად მოირთო, თითქოს სადმე ყოფილიყოს მიწვეული. პირ-ჯვარი გადაისახა, ილოცა გულით, ხელის კანკალით აიღო თეთრი ჟასმინის თაიგული, რომელიც რიჟრაჟზე დაჰკრიფა თავის ფანჯრიდან, ისიც დაათვალიერა და მამის პირველ დაძახილზე გამოხტა ოთახიდან.

გულის ცემით მისდევდა მამას. ჯერ ადრე იყო, ქალაქს ეძინა მზემ ის-ის იყო ამოჰყო თავი, მწვერვალებიდან სალამი უძღვნა ქვეყანას, მაცოცხლებელის ძალით ჩაანათა ჩაშავებულს გულ ჩათხრობილ ქალაქს, გამოაღვიძა და აამოძრავა.

ერთი თავისი სხივთაგანი ყვავილთა ქვეყნისთვისაც არ დაიშურა და როდესაც ერთ-ერთი სხივი, ქალაქის განმარტოებულ მიყრუებულ სასაფლაოს დაეცა, მედიდურად წამოჭიმულ ძეგლებს ბრჯყვიალი დააწყებინა.

მამა შეჩერდა ერთ სადათ მორთულ საფლავთან, გააღო რკინის კარი და შეუძღვა არჩილს.

— აი, შვილო დედა შენის საფლავი. მაპატიე, შვილო! ჩემი შეცდომა, გამოუცდელობით ჩადენილი. ცუდად მოვიქეც, რომ მოგატყუილე, ესე სჯობდა მეგონა და სულიერი ტანჯვა კი მოგაყენე. ეხლა ისე პატარა აღარა ხარ რომ ვერ ჩიხვდე ამ ცხოვრების საიდუმლო კანონს. ადამიანი კი არა, ყოველივე სულიერი და უსულო იხოცებიან. მცენარეთა ფოთლებიც კი შემოდგომაზე ჰკარგავენ თავის პირველ სიცოცხლეს, ვინ იცის იქნებ როგორც ეს მცენარეები ახლდება გაზაფხულზე ჩვენც ესევე ვახლდებით, ოდესმე გვეცხოვროს ან ვიცხოვროთ, არ ვიცი კარგად რაღაცას ამის მგზავსს ამბობენ, თავის დროზე ჩემზე კარგა გაიგებ და გამოიკვლევ მხოლოდ ეხლა ამას გეტყვი, შვილო, კაცი კვდება მაგრამ მისი ნამოქმედარი, ნალვაწ-ნაფიქრი, უნდა დარჩეს მის მომავალ თაობას. რა დარგშიაც უნდა იყოს ეს მოღვაწეობა მხოლოდ კეთილის გზით კი და ხორცთან ერთად არ მოკვდება სახელი და სული მისი. დედა შენი იშვიათი დედა და ქალი იყო, ის დაჟინებით ამბობდა: „ჩემი დაუმთავრებელი გზა არჩილმა უნდა განაგრძოსო, და, აბა, შენ იცი, რაც ვერ მოასწრო იმან თვის ხან მოკლე სიცოცხლეში, შენ შეავსე ჩემო მომავალის იმედო! წავიდეთ, გაგიღებ დედაშენის უჯრებს და გაიცანი მისი სურვილი და გულის ნადები. იცოდე ყოველ ნაბიჯზე, ფეხ და ფეხ მოგდევს, მხარში გედგომება, ისევ ცოცხალი გაიხარებს შენის ნამოქმედარით, მხოლოდ შენ ვერ დაინახავ, იგრძნობ კი სულის სიღრმეში იმ სიხარულის განცდას რასაც განიცდის იმ დროს დედი-შენის სული.

არჩილი დიდხანს იდგა დედის საფლავთან.

ორი ობოლი მარგალიტი მოსწყდა თვალთაგან და ნამათ დაეპკურა დედის გულზე აბიბინებულ მწვანე ხავერდს, დაიხარა აკოცა საფლავს, ჟასმინით მორთო და გამოვიდა.

VIII

— რიიჰი-რუჰუ-რუჰუ, რიიჰი-რუჰუ-რუჰუ.—ჭახჭახებს მაღალ წაბლის ხეზე შემომჯდარი შაშვი, ტოტიდან-ტოტზე დახტის, ფრთებს ისწორებს და თავდავიწყებით ეკეკლუცება ჩამავალ მზის უკანასკნელს სხივს; რომელიც მაღალ ხეების წვერებს კიდევ სწვდება, დაციაგობს, დათამაშობს, ცუღლუტ ნიავს ხან აღმა ასდევს ხან დაღმა, თითქოს ენანება მთელის ღამით ამ ზურმუხტოვან ტყის მიტოვება, ნისლისა და ცვარის ამარა დაგდება. შორს გაურბის მშობელ დედას დაცელქ ქალწულებრივ მოჰხიბლავობით ახვევს თავზე ოქროს ქსელს, მის მაღმერთებელ მაღალ ვერხვებს, ბუმბერაზ მუხას, ახალგაზრდა ტირიფთ და ყველას, ყველას ვისაც უყვარს ის ლამაზი, ის გულის გამათბობელი, სიცოცხლის მახარობელი. მაყვალივით შავ შაშიკოსაც ეკუთვნის ნაწილი ამ ზეციურ მოწყალებისა და რაღა თქმა უნდა ისიც გატაცებით უძღვნის ქება-დიდებას.

— ცოტაც კიდევ და საღამოს ჩრდილი მოიცვავს აქაურობას, მერე მე რაღა ფასი მექნება როცა მოფრინდება ის ნაცარა საძაგელი, ის გაუმაძღარი ქვეყნის მოტრფიალე; ისე ეშმაკურად რო მომართავს იმ ყელს, რომ თითქოს ცა დ ჯოჯოხეთი ერთად შეზავებულა, მწუხარება და სიხარული ერთი-მეორეს გადაგრეხიაო, მოხუცი და ახალგაზრდა, სულიერი თუ უსულო ყველა იმას უსმენს სულ განაბული. მე ვიღა შემომხედავს, ვიღა დამიგდებს ყურს, ეჰ საცოდავო თავო ჩემო, რა იქნებოდა შენც დაგყოლოდა ისეთი ხმა, ისე შეგექო ცა და მიწა და შენის სმენით მოგეხიბლა ყველა?

ჰფიქრობს შაშვი და ნაღველ ნარევ ხმით უფრო და უფრო გაჰკივის, თითქოს შესჩივის ზეცას მის ულონობასო.

ტყიდან მოშორებით მაღალ სერზე მიწოლილა არჩილი, უკვე ჭაბუკს მეტად უმშვენებს შავი ულვაში და ხუჭუჭა წვერი.

ის ნიდაყვზე დაყრდნობილი დაჰყურებს ყველაფერს;—მოთამაშე მზის სხივში ჰგრძნობს თავს, ვერხვებშიაც სცოცხლობს ყოველ მათ ფოთლის შენძრევ-შერხევას იახლოვებს, ესმის შაშიკოს გულის ტკივილიც სულის შფოთვა. ის ყველგან და ყველაფერში განიცდის თვის არსებობას, ყველაფერს უკავშირდება, უნათესავდება სული მისი და ამ ყოფაში გაჩქარებით მისცურავს ფანქარი მის წინ გადაშლილ სქელ შავ რვეულზე. დრო გამოშვებით აიღებს თავს, გახედავს შორს დაფენილს ჭალებს, დაკლაკნილ გიჟ-მაჟ მდინარეს, გაღმა ლამაზ სოფლებს, ვენახებს იქით სერებს, გორაკებს მწვანე ტყით მოსილს, შორს შორს კი მთებს, ბუმბერაზ მთებს საცა მზის სიმხურვალეს ვერა დაუკლია და შაქრის თავა მაინც თეთრად გამოიყურება, გაჰყურებს შორით. იქ არის ყვავილების ქვეყანა, იქ ეგულება, იქ წარმოიდგენს უკვე ვაჟკაცი თვის სპეტაკ ხსოვნას სიყმაწვილისას. ღრუბლებთ მახლობლად, იმ მიუწდომელ სიმაღლეზე დაუსახავს. მას უგალობს აქედან, მას შეეტრფის მისი ნორჩი არსება და იწყებს კვლავ წერას, ოცნებით შობილს ხორც ასხავს და აქანდაკებს საამქვეყნოდ.

უმცროსი და ძმა საზღვარ-გარედ ასრულებენ სწავლას, დედის საფლავზე კი ჩუმად დადის მოხუცი კაცი, რწყავს და უვლის რომ არ დაჭკნეს ნაზი ია.

მარიამ გარიყული.